ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2628158

ნომერი: AR1401652

თარიღი : 03.05.2016

გაცემის თარიღი : 01.06.2016

გაცნობის თარიღი : 07.06.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გრიგოლ ხანძთელი , N 16 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა კოტე აფხაზი , ჩიხი II , N 9 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ლესელიძე , N 37 / ქალაქი თბილისი , ლესელიძის II ჩიხი N6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სულხანი მაკარიძე პ/ნ 21001038040
- თერჯოლა 4 ძმის II ჩიხი N 35

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 03/05/2016 წლის AR1401652 განმეორებითი განაცხადი, რომლითაც მოითხოვეთ ამავე სამსახურის სამსახურის 18/03/2016 წლის #2485947 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.

პასუხად გაცნობებთ, რომ 18.05.2016 წლის №2601958 ბრძანებით განცხადებაზე დაგიდგინდათ ხარვეზი და განგესაზღვრათ დამატებითი 10 დღიანი ვადა დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რომლითაც დადასტურდებოდა ის გარემოება, რომ სამსახურის 18/03/2016 წლის #2485947 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვის მოქმედების პერიოდში განხორციელებული სადემონტაჟო სამუშაოებით არ იქნა დაცული ქ. თბილისში, გრიგოლ ხანძთელის ქ. #16-ში მდებარე შენობის მდგრადობისა და უსაფრთხოების პირობები, რამაც გამოიწვია აღნიშნული ობიექტის კონსტრუქციების დეფორმაცია ან/და დაზიანება.
სამსახურში 2016 წლის 26 მაისის შეტყობინებით წარმოდგენილია, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 8 ივნისის #004578515 დასკვნა და 13.11.15 წლის #79697/07 განცხადების საფუძველზე შედგენილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დათვალიერების ოქმი. აღნიშნული დოკუმენტები შედგენილია სამსახურის 18/03/2016 წლის #2485947 ბრძანების გამოცემამდე და მათ საფუძველზე არ დასტურდება, რომ უშუალოდ სამსახურის 18/03/2016 წლის #2485947 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვის მოქმედების პერიოდში განხორციელებული სადემონტაჟო სამუშაოებით არ იქნა დაცული ქ. თბილისში, გრიგოლ ხანძთელის ქ. #16-ში მდებარე შენობის მდგრადობისა და უსაფრთხოების პირობები, რამაც გამოიწვია აღნიშნული ობიექტის კონსტრუქციების დეფორმაცია ან/და დაზიანება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, არ გამოსწორებულა ხსენებული ბრძანებით დადგენილი ხარვეზი და არ არის წარმოდგენილი სამსახურის მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია, სამსახურის 18.05.2016 წლის №2601958 ბრძანების შესაბამისად, თქვენი 03/05/2016 წლის AR1401652 განცხადება რჩება განუხილველი.
თუ თვლით, რომ სამსახურის მიერ გამოცემული აქტი გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მისი გაცემის წესი, შეგიძლიათ იგი გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.